



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბერიძე თეიმურაზ არჩილის ძე

ბერიძე თეიმურაზ არჩილის ძე (დ. 16. XI. 1956, თბილისი), ეკონომისტი. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1992), პროფესორი (1995).

დაამთავრა თსუ-ის ეკონ. ფაკ-ტი (1978). იყო საქართვე. მეცნ. ეროვნ. აკად. ეკონ. ინ-ტის უფრ. მეცნ. თანამშრომელი (1983–85), წამყვანი მეცნ. თანამშრომელი (1986–88), განც-ბის გამგე (1993–95), დირექტორის მოადგილე (1996); მერილენდის (აშშ) უნ-ტის მიწვეული პროფესორი ფულბრაიტის პროგრამით (1995–96), საქართვე. სტატისტიკის სახელმწ. დეპარტამენტის თავ-რე (1996–2005), აზიისა და წყნარი ოკეანის გაეროს სტატისტიკის ინ-ტის (ტოკიო) მიწვეული პროფესორი (2005, 2006), შავი ზღვის საერთაშ. უნ-ტის მიწვეული პროფესორი (2005–13), თსუ-ის ეკონ. და ბიზნესის ფაკ-ტის დეკანი (2013–18), 2014-იდან მუშაობს თსუ-ში პროფესორის თანამდებობაზე.

ბ-ის კვლევის ძირითადი სფეროა ეკონ. თეორიის, მაკროეკონომიკის, ტრანსფორმაციული ეკონ. პრობლემები. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2002); საქართვე. მეცნ. ეროვნ. აკად. მედლით (1997).

თბზ.: Очерки политической экономики посткоммунистического капитализма (Опыт Грузии), М., 2005 (თანაავტ. ვლ. პაპავა); The Republic of Georgia: Problems of Transition to a Market Economy, University of Maryland, U.S.A., 1996; Qualitative and Quantitative Aspects of Transitional Economy. International Association Economic Society (IAES), Washington D.C., U.S.A., 2016.
